სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 06/35

ქ.რუსთავი

6 მაისი 2014 წელი

ერთი მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ლეილა აფციაურის სახით და მეორეს მხრივ შპს „ნიაღვარი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ლოსეურაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის (გადაუდებელი აუცილებლობა) თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე". ,,კვირა", ,,თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 ,,მხარე" - ,,შემსყიდველი" ან/და ,,მიმწოდებელი".

1.7 ,,სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქალაქ რუსთავში მ.კოსტავას გამზ. №18 საცხოვრებელ კორპუსში გარე საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (CPV45200000).

2.2 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა მოცემულია დანართში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **14 988** (თოთხმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდარვა) ლარი.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს ,,მიმწოდებლის" მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ფორმა №2–ის, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. ფორმა №2 დამოწმებული უნდა იყოს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის და ტექ. ზედამხედველის მიერ.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს **30%**-ის ოდენობით, მხოლოდ „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის საბანკო/სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე.

4.5 დაფინანსების წყარო: 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

4.6

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა №2–ის საფუძველზე მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის და ტექ. ზედამხედველის დადასტურების შემდეგ, ხოლო საბოლოო მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა №2–ის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური უფროსი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან **შპს „ნიაღვარი"**-ს წარმომადგენელი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა;

ბ) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

6. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

6.1 სამუშაოს შესრულების ადგილად განისაზღვრება ქ. რუსთავი. მ.კოსტავას გამზ. №18.

6.2 სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 22 სამუშაო დღის განმავლობაში.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული მომსახურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება დანართის მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

გ) სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას საქართველოში დადგენილი შესაბამისი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

დ) შესრულებულ სამუშაოზე საგარანტიო ვადა: საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0,5%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **5%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი | მიმწოდებელი

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქ რუსთავი	შპს „ნიაღვარი"
მის: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20	მის: ქ. რუსთავი, დავით გარეჯის №34
საიდენტიფიკაციო კოდი №216433287	საიდენტიფიკაციო კოდი №216434259
სს „ლიბერთი ბანკი"	სს „ლიბერთი ბანკი"
ბ/კ №LBRTGE22	ბ/კ №LBRTGE22
ა/ა № GE78LB0125148543037000	ა/ა № GE39LB0113111781031000
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	შპს „ნიაღვარი"-ს დირექტორი
ლეილა აფციაური	დავით ლიტვინაშვილი

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი : გიორგი არჩვაძე

გაანგარიშება

ქ. რუსთავში. კოსტავას გამზირის №18 საცხოვრებელ კორპუსში გარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზ. ერთ.	რაოდ	მ ა ს ა ლ ა ერთეულ ფასი	მ ა ს ა ლ ა ჯამი	ხელფასი ერთეულ ფასი	ხელფასი ჯამი	ტრანსპორტი მექანიზმები ერთეულ ფასი	ტრანსპორტი მექანიზმები ჯამი	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	I კანალიზაციის ქსელის მოწყობა									
1	ბეტონის დაშლა პნ ჩაქუჩებით	$მ^3$	1		0	50	50	10.00	10	60
2	ტრანშეას დამუშავება ექსკავატორით ა/თვითმცლელებზე დატვირთვით 95% 200მ3X95%=190მ3	$მ^3$	190.00		0	0.20	38	1.00	190	228
3	იგივე ხელით 5% 200მ3X5%=10მ3	$მ^3$	10.00		0	25.00	250		0	250
4	ნაშალის გატანა ა/თვითმცლელებით ნაყარში 5კმ მანძილზე 200მ3X1.6=320ტ	ტ	320.00		0		0	3.12	998	998
5	საკანალიზაციო ჭების საფუძვლის მონზადება ქვიშახრეშოვანი ნარევით	$მ^3$	0.70	12.00	8	12.00	8		0	17
6	საკანალიზაციო ჭების მოწყობა	ც	7.00		0	150.00	1050	20.00	140	1190
7	რკინაბეტონის მგვალი ჭის ძირი Ø1მ	ც	7.00	60.00	420		0		0	420
8	რკინაბეტონის რგოლები ჭების Ø1მ ჩ=1მ	ც	7.00	90.00	630		0		0	630
9	რკინაბეტონის გდახურვის ფილა 1.2მX1.2მX0.22მ	ც	7.00	140.00	980		0		0	980
10	თუჯის მრგვალი ყრუ სახურავი Ø1მ	ც	7.00	266.00	1862		0		0	1862
11	სამშენებლო აგური 25X12X6.5სმ	ც	900.00	0.35	315		0		0	315
12	ქვიშაცემენტის ხსნარი	$მ^3$	0.60	80.00	48		0		0	48

13	გოფრირებული მილების ჩაწყობა ტრანშეაში Ø150 და მიერთება არსებულ საკანალიზაციო ჭასთან	გრძ.მ	66.00	7.10	469	1.00	66		0	535
14	პლასტმასის საკანალიზაციო მილების ჩაწყობა ტრანშეაში და მიერთება არსებულ საკანალიზაციო ჭებთან Ø100	გრძ.მ	35.00	4.20	147	0.80	28		0	175
15	მილების შეფუთვა ქვიშით	$მ^3$	16.00	22.00	352	12.00	192		0	544
16	ტრანშეას შევსება ქვიშახრეშოვანი ნარევით	$მ^3$	180.00	12.00	2160	1.20	216	1.20	216	2592
	ჯამი				7391		1898		1554	10844
	სატრანსპორტო ხარჯები 2%	ლარი								148
	ჯამი	ლარი								10992
	ზედნადები არჯები 8%	ლარი								879
	ჯამი	ლარი								11871
	გეგმიური დაგროვება 7%	ლარი								831
	ჯამი	ლარი								12702
	დღგ 18%	ლარი								2286
	ჯამი	ლარი								14988

შპს „ნიალვარის" დირექტორი

დ. ლოსაურაშვილი